

## საქართველოს კანონი

### „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, №31, გვ. 1) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.“.

2. 1139-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს ან ქმედუნარო მეუღლის მეურვეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს პასუხის შეტყობინების ვადა იმის თაობაზე, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუნარო მეუღლის სასარგებლოდ აღიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.“.

3. 1359-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი, თუ მოანდერძე წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი